

# ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა



ბაღდათი  
**2021** წელი

## მერის მიმართვა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური გაძლიერებას ადგილობრივი თვითმმართველობა კვლა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევად მივიჩნევთ.

მუნიციპალიტეტის სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსების სიუხვე, განვითარებული კლიმატურ-ბალნეოლოგიური საკურორტო ზონა, არსებული ტურისტული და კულტურული ობიექტები, კლიმატური პირობები, რელიეფი და მიწის სტრუქტურა, ტრადიციული და თანამედროვე სოფლის მეურნეობის მიმართულელები, მეწარმეობის დივერსიფიცირება, საინვესტიციო პოტენციალი, განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა და არსებული მუნიციპალური სერვისები იძლევა ეკონომიკურად გაძლიერების რეალურ შესაძლებლობებს.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ევროკავშირის ინიციატივის მეორე ფაზასთან თანამშრომლობით ბაღდათის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა პრინციპულად თანახმაა დააჩქაროს მდგრადი და ინკლუზიური ადგილობრივი ეკონომიკური ზრდა, განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა ახალი ადგილობრივი ინტერვენციების შექმნით, რომელშიც ჩართული იქნება მოსახლეობა, ბიზნესი და სამოქალაქო საზოგადოება. ვიღებთ პასუხისმგებლობას გამოვცადოთ არსებული საშუალებები **„მიზანზე ორიენტირებული“ ეკონომიკური მიდგომის დასაწერად**, რომლებიც პასუხობს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარ განვითარებასთან დაკავშირებულ ძირითად გამოწვევებს. მათ შორის, ვგულისხმობთ ინკლუზიური განვითარებას და გენდერული თანასწორობას, გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებებს, ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საკითხები და კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად დამდგარი ახალი რეალობის გათვალისწინება, დანერგოს **კარგი მმართველობის** ძირითადი პრინციპები, აქტიურად **გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების** პროცესში, რომლებიც უკვე წარმატებით დაინერგა და განხორციელდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.

მიგვაჩნია და გვეიმედება რომ აღნიშნული მიდგომები და გამოცდილების გაზიარება ჩვენთვის ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების გარანტი იქნება .

ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის, შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო სექტორთან კიდევ უფრო აქტიური დიალოგი და თანამშრომლობა, პრიორიტეტების და საჭიროებების სწორად გამოკვეთა და ღონისძიებების ერთობლივად, პარტნიორულად დაგეგმვა-განხორციელების უზრუნველყოფა.

განახლებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა ადგილობრივ რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენებისთვის, ბოლო წლებში გამოვლენილ გამოწვევების დამლევსთვის შექმნილი საშუალოვადიანი დოკუმენტია 2021-2022 წლებში განსახორციელებლად, მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი ხედვისა და მიზნებისთვის მისაღწევად. ის იქნება ქმედითი, სიცოცხლისუნარიანი და ამავდროულად პოზიტიური შედეგების მომტანი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდისთვის.

2021-2022 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ნაწილი ბაღდათის მერიის ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ამასთან გაწერილია ღონისძიებები სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით, სამოქალაქო და კერძო სექტორის ჩართულობით, ასევე ქმედებების ნაწილი დაგეგმილია დონორების მოძიების იმედად.

მადლობას ვუხდით მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებს, კერძო და სამოქალაქო სექტორს, ახალგაზრდულ ჯგუფებსა და მოსახლეობას, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განახლება პროცესში. ვიმედოვნებთ, რომ დაინტერესებულთა ჩართულობა კიდევ უფრო გაიზრდება და აქტიურად განვაგრძობთ ურთიერთთანამშრომლობას სამოქმედო გეგმის განხორციელებისას და მომდევნო გეგმების დასასახად. ადგილობრივ ეკონომიკურ აქტორებს მოგიწოდებთ მაქსიმალური ჩართულობისკენ, რათა ურთიერთ თანამშრომლობით მივაღწიოთ საერთო მიზანს, გავხადოთ ბაღდათის მუნიციპალიტეტი ტურისტულად, სამუშაოდ, საცხოვრებლად და ბიზნესის საკეთებლად მიმზიდველი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა სახელით გამოვთქვამ მზადყოფნას წინამდებარე 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების აქტიურ ჩართულობაზე, რათა ხელი შეეწყოს დაგეგმილი ღონისძიებების ჯეროვნად და ეფექტურ განხორციელებას.

პატივისცემით და შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავების იმედით,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი

არჩილ გოგსაძე



გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას

*სახელი: თინა აბულაძე*

*თანამდებობა: ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი*

*მისამართი: ქ. ბაღდათი, წერეთლის ქუჩა N 9 ტელეფონი: +995 595 900 610*

*ელ-ფოსტა: tikoabuladze25@gmail.com*

*ვებ-ბგვერდი: www.baghdati.gov.ge*

## 1. მოკლე შეჯამება

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LED) წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეთოდოლოგიის საფუძველზე ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების თანაბარი ჩართულობით ჩამოყალიბებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობის მიერ, განახლებულ დოკუმენტს, ეფუძნება 2018 წელს M4EG მეთოდოლოგიის და რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავებულ ადგილობრივ ეკონომიკური განვითარების გეგმას, ითვალისწინებს საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასა და მიდგომებს და მიმართულია კერძო სექტორის ზრდა - განვითარებისკენ.

წინამდებარე გეგმის მიზანი, არსებული მდგომარეობის გაანალიზებით, მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი კეთილდღეობის მიღწევის მხარდამჭერი ამოცანების განსაზღვრა და კონკრეტული ქმედებების დაგეგმვაა. გეგმა ფოკუსირებული და ორიენტირებულია მხოლოდ ეკონომიკის მიმართულებებზე. დოკუმენტში ასახულია მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის ეკონომიკური ანალიზი, გამოწვევები, ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა და მიზნები. მიზნების მისაღწევად ღონისძიებები გაწერილია თანდართულ 2021-2020 წლების სამოქმედო გეგმაში. ასევე გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

გეგმის შემუშავების პროცესში განხორციელდა განვითარების შესაძლებლობების და საჭიროებების სიღრმისეული კვლევა, შემუშავდა SWOT ანალიზი და მთავარი დასკვნები. ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მნიშვნელოვანია ისეთი სისუსტეების დაძლევა, როგორცაა არასაკმარისად განვითარებული ბიზნეს ხელშემწყობი და ტურისტული ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი სამუშაო ძალის მიგრაცია, ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი მუნიციპალური სერვისების სიმცირე, ბიზნეს სექტორში ტექნოლოგიებისა და ცნობიერების არასათანადო დონე, მუნიციპალიტეტის დაბალი ცნობადობა და სხვა..

განახლებული გეგმა მიმართულია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი ხედვის მისაღწევად, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტის მიმზიდველობის ზრდას როგორც ტურისტული ისე საინვესტიციო თვალსაზრისით, ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურისა და დივერსიფიცირებული მეწარმეობის განვითარებას, სამუშაო ადგილების ზრდას. ხედვის მისაღწევად განისაზღვრა მიზნები: 1.მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და ტურისტული მიმზიდველობის ზრდა; 2.ადგილობრივი მეწარმეების უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება; 3.სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

მიზნების მისაღწევად გაიწერა აქტივობები. გეგმა მოიცავს ღონისძიებებისთვის საჭირო დაფინანსების რაოდენობასა და სავარაუდო წყაროებს.

გეგმით გათვალისწინებული ქმედებების ძირითადი ნაწილი საკუთარი ბიუჯეტიდან დაფინანსდება ამასთან ღონისძიებების ნაწილი შესრულდება სახელმწიფო, სამოქალაქოდა კერძო სექტორის ჩართულობით და ფინანსური თანამონაწილეობით. ამასთან ნაწილი აქტივობები დაგეგმილია დონორის მოძიების იმედად .

## 2. შინაარსი

მერის მიმართვა .....	2
1. მოკლე შეჯამება .....	3
2. შინაარსი .....	5
3. ცხრილების და გრაფიკების სია, დანართები, აბრევიატურები .....	5
3.1 ცხრილები.....	5
3.2 გრაფიკები .....	5
3.3 დანართები .....	5
3.4 აბრევიატურები.....	5
4. გეგმის შესავალი.....	6
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი .....	7
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი .....	8
6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი .....	8
6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება .....	12
6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია .....	14
6.4. წვდომა ფინანსებზე.....	15
6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა.....	16
6.6. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები.....	17
6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა.....	18
6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი .....	18
7. SWOT ანალიზი .....	19
8. ხედვა და მიზნები.....	20
9. სამოქმედო გეგმა .....	21
სამოქმედო გეგმა 2019-2020.....	21
დაფინანსებების სქემა .....	24
მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები.....	25

### 3. ცხრილები, გრაფიკები, დანართები და აბრევიატურები

#### 3.1. ცხრილები

ცხრილი 1. საწარმოთა კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობის და ზომის მიხედვით .....	8
ცხრილი 2. ადგილობრივი თანამშრომლობის შეფასება .....	
ცხრილი 3. მზარდი სექტორები (ქვე სექტორები) და მათი გამოწვევები .....	14
ცხრილი 4. ბიზნეს სექტორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა .....	14
ცხრილი 5. კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში .....	15

ცხრილი 6.საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები .....	16
ცხრილი 7. სამოქმედო გეგმა.....	21
ცხრილი 8. დაფინანსების სქემა.....	24
ცხრილი 9. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები.....	23

### 3.2 გრაფიკები

გრაფიკი 1. მუნიციპალიტეტში მცხოვრები. მოსახლეობის რაოდენობა .....	7
გრაფიკი 2. მუნიციპალიტეტში ეკონომიკური საქმიანობების განაწილება სფეროების მიხედვით .....	9
გრაფიკი 3.მუნიციპალიტეტში საწარმოთა რეგისტრაციის მონაცემები 2019-2021 წლებში .....	9
გრაფიკი 4 მუნიციპალიტეტში მიწის მონაცემები 2016 წლის .....	11

### 3.3. დანართები

**დანართი 1.** LEDP-ის მომზადების პროცესში სამუშაო ჯგუფის შექმნის ოქმი, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის ოქმები და შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა

**დანართი 2.** კვალიფიციური უნარების სფეროში არსებული სიტუაციური ანალიზი;

**დანართი3.**ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნი უნარებისა და დასაქმების შესაძლებლობების ბალანსი - სისტემური ანალიზი;

**დანართი 6.** როგორ აღიქმება გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ

**დანართი 7.** ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA Georgia) „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დოკუმენტი“

### 3.4აბრევიატურები

M4EG -მერები ეკონომიკური ზრდისთვის

LED - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება

LEDP - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

შშმ - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

ა(ა)იპ -არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

სსიპ -საჯარო სამართლის იურიდიული პირი

SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები

DCFTA- ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შეთანხმება

LDA - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოში

DMO- დესტინაციის მართვის ორგანიზაცია

#### 4. გეგმის შესავალი

წინამდებარე გეგმა წარმოადგენს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2018-2020 წლების გეგმის განახლებას, რომელიც შემუშავდა 2018 წლის ბოლოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ევროკავშირის ინიციატივის პირველი ფაზის ფარგლებში ინიციატივის ტექნიკური დახმარებით, მათ მიერ მოწოდებულ მეთოდოლოგიაზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით. გეგმა აღიარებული იქნა სარეკომენდაციო დოკუმენტად აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნების მუნიციპალიტეტებისათვის მსოფლიო ბანკის და ევრო კავშირის ექსპერტების მიერ. შესაბამისად, წინამდებარე გეგმის შემუშავებისას გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის გამოცდილება.

გეგმა შემუშავებულ იქნა კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სტანდარტების თანახმად ჩამოყალიბებული ადგილობრივი პარტნიორობასთან მჭიდრო კომუნიკაციით, ინიციატივის სამდივნოს მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფის მიერ, თანასწორობის პრინციპით ჩართული ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების უშუალო ჩართულობით. დოკუმენტი შემუშავების პროცესში მოხდა დაინტერესებულ პირთა გამოვლენა და ჩართულობა. დოკუმენტში ასახულია ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი, SWOT ანალიზი, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხედვა, ხედვის მისაღწევად დასახული სამი მიზანი და მიზნების მისაღწევად 2021-2022 წლებში შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებები, რომლებიც თავისთავში ქვე აქტივობებს და ღონისძიებებს მოიცავს. ასევე გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. გეგმა თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის განვითარების დოკუმენტებთან და ქვეყნისა და რეგიონის განვითარების ხედვებსა და სტრატეგიებთან.

გეგმაში გაწერილი ღონისძიებები ყველა მათგანი კონკრეტული, დროში გაწერილი, მიღწევადი და გაზომვადია.

გეგმაში გაწერილი ღონისძიებების ასახვა მოხდება ადგილობრივ ბიუჯეტში პროგრამებისა და ქვეპროგრამების სახით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს დასავლეთ ნაწილში, იმერეთის დაბლობზე, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დამაკავშირებელ, ქუთაისი-ბაღდათი-ბენარის საავტომობილო გზაზე. ბაღდათს ესაზღვრება რეგიონის ცენტრს (ქ. ქუთაისს) და 6 მუნიციპალიტეტს აქედან 4 მათგანთან დაკავშირებულია შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბაღდათი, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან – თბილისიდან დაშორებულია- 220 კმ-ით- ( 3 სთ და 30 წუთის სავალი დროით), იმერეთის რეგიონის ცენტრიდან, ქალაქი ქუთაისიდან 25 კმ-ით( 0,5 საათი სავალი დროით) , ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან 44 კმ-ით( 37 წუთი სავალი დროით). უახლოესი რკინიგზის სადგურიდან 19 კმ-ით (19 წუთი დროით). მუნიციპალიტეტის ტერიტორია უმეტესად მთაგორიანია, ზღვის დონიდან 30-1908 მ-ზეა, ფართობი – 815 კვ. კმ-ია, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 82.22 კვ.კმ. ბაღდათის ტერიტორიის 67,5% ტყით არის დაფარული. ჰავა ნოტიო და სუბტროპიკულია. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით ცხელი ზაფხული. მუნიციპალიტეტი ადვილად მისადგომია როგორც სარკინიგზო, ასევე, საავტომობილო ტრანსპორტით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების საავტომობილო გზების სიგრძე 105 კმ-ს, აქედან 90% კაპიტალურად შეკეთებულია, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სიგრძე შეადგენს 159 კმ-ს, რომლის 70 %-იც კაპიტალურადაა შეკეთებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ქუთაისი - აზასთუმნის საავტომობილო მაგისტრალის რეკონსტრუქცია-მშენებლობა, რაც ერთმანეთთან უმოკლესი გზით დააკავშირებს დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს.

პრობლემას წარმოადგენს შიდა საუბნო გზები, რომელთა დიდ ნაწილიც ტურისტულ ობიექტებამდე და საოჯახო ღვინის მარნებამდე მისასვლელ გზებს წარმოადგენს, მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა


ზრდის მარნების საწარმოო ტვირთის დაზიანების გარეშე გადაადგილების საფრთხეს. ამასთან აღნიშნული გზებით მოსარგებლე ტურისტები მუდმივად გამოთქვამენ უკმაყოფილებას.

მუნიციპალიტეტის გზებზე გადაადგილება ფაქტობრივად შეზღუდვების გარეშე მიმდინარეობს წლის ყველა სეზონზე (დიდთოვლობის გარდა), რაც მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია ეკონომიკის განვითარებისთვის.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი ტერიტორია დაყოფილია 15 ტერიტორიულ ერთეულად, ერთი ქალაქ -ბაღდათი და 25 სოფელი, აქედან ერთი თემი - მაღალმთიან დასახლებათა სტატუსით.

მოსახლეობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2021 წლის პირველი იანვრის მონაცემებით შეადგენს - 18400 . მამაკაცები. 49,2% და ქალები 51,8%.ქალაქად ცხოვრობს 17%, ხოლო 83% - სოფლად. შრომისუნარიანი, ანუ 15-დან 65 წლამდე ასაკის მოსახლეობა შეადგენს 60%-ს. აქედან კაცი 52%-ია, ქალი - 48%. ემიგრაციაში მყოფი მოსახლეობა 14500 კაცი. 2014 წლის მონაცემებთან შედარებით მოსახლეობა 16% -ითაა შემცირებული, ხოლო 2002 წლის მონაცემებთან შედარებით 27 %-ით. ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო მზარდია მიგრაციის ტენდენცია, განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდა, კვალიფიციურ და შრომისუნარიან მუშახელს, რომლებიც სამუშაოდ მიდიან საქართველოს ურბანულ დასახლებებში და უფრო განვითარებულ ქვეყნებში იქ არსებული მაღალი დასაქმების შესაძლებლობებისა და სათანადო ანაზღაურების გამო. კიდევ ერთი უარყოფითი ტენდენცია მოსახლეობის დაბერებას უკავშირდება. მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საშუალო ასაკი 42,7 წელს შეადგენს, აქედან მამაკაცის საშუალო ასაკი 40,5-ა, ხოლო ქალის 44,8.

გრაფიკი 1. მუნიციპალიტეტში მცხოვრები. მოსახლეობის რაოდენობა( სა. სტატისტიკ. ეროვნული სამსახურის მონაც.)



### 5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

გეგმა წარმოადგენს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების დოკუმენტის განახლებას.

გეგმის შემუშავება მოხდა მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებული საჯარო, კერძო და სამოქალაქო პარტნიორობის აქტიური ჩართულობით.

დოკუმენტის შემუშავება განხორციელდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ოფიცერის (LEDO) კოორდინაციით შექმნილი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დამგეგმავი სამუშაო ჯგუფის მიერ. ჯგუფი შედგება მუნიციპალიტეტის მერიის, კერძო და სამოქალაქო სექტორების წარმომადგენლებისაგან. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა შემდეგნაირად გადანაწილდა: 1 წარმომადგენელი კერძო სექტორიდან, 1 წარმომადგენელი არასამთავრობო სექტორიდან, და 2 წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის მერიიდან. საკვანძო გადაწყვეტილებების მიღება ხმათა უმრავლესობით მოხდა, უმეტესი ნაწილი კონსენსუსის გზით შეჯერდა.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებისას ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა ფოკუს ჯგუფებთან კონსულტაციების გამართვა, ჩატარდა შეხვედრები ეკონომიკური აქტივობების ცალკეული სექტორებთან, საჭიროებების გამოვლენის, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. გამოვლინდა დაინტერესებული მხარეები ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელებაზე მათი გავლენისა და დაინტერესების გათვალისწინებით. ჩატარდა ონლაინ და სატელეფონო გამოკითხვები ახალგაზრდულ ჯგუფებთან და ადგილობრივ ეკონომიკურ აქტივობებთან.

გეგმა შემუშავდა covid-19-ის პანდემიის შედეგად დამდგარი ახალი რეალობის გათვალისწინებით.

2 შეხვედრა ჩატარდა მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან. ონლაინ გამოკითხვები ჩატარდა სხვადასხვა ეკონომიკური სექტორების მიხედვით შერჩეულ ფოკუს ჯგუფებთან და ახალგაზრდებთან 1 შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან, 1 შეხვედრა სკოლის მოსწავლეებსა და მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოს წევრებთან. შეხვედრების დროს შეგროვდა როგორც ეკონომიკური ანალიზისთვის საჭირო მონაცემები, ასევე მოხდა საჭიროებების გამოვლენა, ხედვისა და მიზნების მისაღწევად აქტივობების ვერსიების შემუშავება. შეხვედრების ორგანიზებისას გათვალისწინებული იქნა გენდერული ბალანსი.

გეგმის შემუშავების პროცესში გამოყენებული და გათვალისწინებული იქნა ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს მიერ, „გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის“ მხარდაჭერით განხორციელებული პროგრამის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში შემუშავებული „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დოკუმენტი“ და მათ მიერ მოწოდებული რეკომენდაციები.


## 6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

**6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი** ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 1 აპრილის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 918 რეგისტრირებული საწარმო. ზომის მიხედვით 2 მსხვილ, 5 საშუალო და 911 მცირე საწარმოდ კლასიფიცირდება.

გრაფიკი N 2 მუნიციპალიტეტში ეკონომიკური საქმიანობების განაწილება სფეროების მიხედვით( საქ სტატის 2020 წლის და მუნიციპალიტეტის არსებული აგროსექტორის 2021 წლის მონაც )

გრაფიკი N 3 . მუნიციპალიტეტში საწარმოთა რეგისტრაციის მონაცემები 2014-2020 წლებში (საქ. სტატი)



ბოლო 2 წლის განმავლობაში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა covid 19 პანდემიიდან გამომდინარე თითქმის არ გაზრდილა მხოლოდ 20 ერთეულითაა მომატებული, მხოლოდ საწარმოების ზრდას ხელი შეუწყო ბოლო წლების განმავლობაში ამოქმედებულმა სოფლის მეურნეობის ხელშეწყობმა სახელმწიფო პროგრამებმა, ამასთან ასევე აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის დარგით დაინტერესების ზრდა

ცხრილი1. საწარმოთა კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობის და ზომის მიხედვით

ეკონომიკური საქმიანობის ტიპი	ზომის ერთეულების (კლასიფიკაციის მიხედვით)		
	მცირე	საშუალო	მსხვილი
სოფლის მეურნეობა - პირველადი წარმოება	130		
თევზის მეურნეობა	13		
სამთო მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	2		
დამამუშავებელი მრეწველობა	102	1	1
მშენებლობა	60	1	
საბითუმო და საცალო ვაჭრობა;	374		
ტრანსპორტი და დასაწყობება	130		
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	50		1
ინფორმაცია და კომუნიკაცია	5		
საფინანსო, სადაზღვეო	5		
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	18		
განათლება. პროფესიული და ტექნიკური საქმიანობები	21		
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	14		
ჯანდაცვა, საფთვობა და სტომატოლოგიური მომსახურების საქმიანობები	32	1	
ხელოვნება, გართობა და დასვენება	5		
სხვა სახის მომსახურება ; რემონტი, საპარკმახეროები და სილამაზის სალონები,	25		

ტურიზმის სექტორის განვითარება ძირითადად კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტ საირმის არსებობით, მის გარშემო განვითარებული ტურისტული ობიექტების არსებობით, ღვინის ტურიზმის განვითარებით, კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივ-ეთნოგრაფიული ძეგლების მრავალფეროვნებითა და სიმრავლითაა(46 კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლი) განპირობებული.

მსოფლიოში ცნობილი კურორტი საირმე, მის გარშემო განვითარებული საყოფაცხოვრებო-დასასვენებელი-გასართობი ინფრასტრუქტურა, სპა ცენტრი, კურორტის თერმული წყლების საერთაშორისო ასოციაციაში გაწევრიანება, ყველა სეგმენტის მომხმარებლისთვის განვითარებული სასტუმროებისა და მომსახურების ობიექტები, მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ღირებულებათა ჯაჭვის მთავარი შემადგენელი ნაწილია. კურორტ საირმეს ტერიტორიაზე 2019 წლის მონაცემებით 120 000-ზე მეტი ტურისტი იყო. COVID 19 პანდემიის პირობებშიც კურორტზე ტურისტების რაოდენობა მკვეთრად არ შემცირებულა, კურორტის ტერიტორიაზე მოქმედი ბიზნეს სექტორი ყოველწლიურად ზრდის მომსახურების ხარისხს და აფართოებს არეალს ყველა სეგმენტის დამსვენებლებისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიმდინარე წელს ახალი საცურაო და კულინარიული ტურისტული ზონის შექმნა კურორტის ტერიტორიაზე. ახალგაზრდა სექტორზე გათვლილი ექსტრემალური-სათავგადასავლო მომსახურებისა და ტურების შეთავაზება. ამ ეტაპზე კურორტი არის როგორც სამკურნალო - გამაჯანსაღებელი, ასევე გასართობ დასასვენებელი ადგილი ყველა სეგმენტის ტურისტისთვის.

ბაღდათური ღვინის წარმოება, იდენტობის განმსაზღვრელადაც კი მიიჩნევა. სხვადასხვა ჯიშის ვაზისგან დამზადებული უნიკალური ღვინო, არაერთხელ ყოფილა საერთაშორისო ფესტივალებში გამარჯვებული. აქაური ყურძნიდან მზადდებოდა მაღალ ბრენდული კონიაკი „ვარციხე“. ბოლო პერიოდში მოსახლეობამ დაიწყო მევენახეობის და მეღვინეობის ტრადიციული მეთოდებით აღორძინება. აღსანიშნავია მათი მიდგომა, აწარმოონ ბიო ღვინო, რის დასაცავად და პოპულარიზაციისთვის გაერთიანდნენ და შექმნეს გილდია, პირველად გილდია 8 წევრისგან შედგებოდა, დღეისათვის 26 წევრი ყავს . პირველი ღვინის მარანი, როგორც ტურისტული ობიექტი 2014 წელს გაკეთდა და ჩამოისხა საოჯახო მარანში ბუტლირებული ღვინო- „ბაიას ღვინო“, რომელმაც მოკლე დროში დიდი პოპულარობა მოიპოვა. მარანს ყოველდღიურად სტუმრობს 20-30 ტურისტი. საოჯახო მარნებში წარმოების ტენდენცია მზარდია. 2017 წელთან შედარებით საოჯახო მარნების რაოდენობა 70 %-ითაა გაზრდილი. დღეისათვის მუნიციპალიტეტში 52 ღვინის მარანია რეგისტრირებული.

მეღვინეობის სექტორი covid 19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების და ლოკდაუნის გამო მუნიციპალიტეტში მოქმედ ბიზნეს ოპერატორებს შორის ყველაზე მეტად დაზარალდა, ნულამდე იქნა დაყვანილი ტურისტების რაოდენობა და გაყიდვები, ამასთან გაჩნდა შენახვის სირთულეები, ღვინის გრძელვადიანი შენახვისთვის არასათანადო პირობების გამო, ასევე გართულდა მიღებული მოსავლის დაბინავება.

მუნიციპალიტეტში განთავსებულია ტურისტული 2 ლაიტბოქსი, სამთო -სათავგადასავლო ტურიზმისთვის მთის ზონაში გაკეთებულია მარკირება და საინფორმაციო მანიშნებლები, მოწყობილია საპიკნიკე და 3 საკემპინგე ადგილი.

პრობლემას წარმოადგენს ქალაქის ტერიტორიაზე ტურისტულ-რეკრეაციული ზონის, გასართობ-გამაჯანსაღებელი სივრცის არ არსებობა, ამასთან შემოსულ სტუმრებს არ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ თავისუფალი მოსასვენებელი სივრცით, და სველი წერტილებით.

სასტუმროს ტიპის მომსახურებას და საკვების მიწოდების უზრუნველყოფას ეწევა 50-ამდე მცირე და ერთი მსხვილი საწარმო-სულ დღიურად 2500 საწოლით. ვაჭრობასა და ტექნიკურ მომსახურებაზე ორიენტირებულია 380 მცირე ბიზნესი. სამედიცინო მომსახურებას ეწევა 33 მცირე და 1 საშუალო საწარმო - აქედან, ერთი საავადმყოფო 80 პერსონალით, 1 პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრი, 1 ლაბორატორია, 1 ამბულატორიული კლინიკა, 12 სასოფლო ამბულატორია, 7 სტომატოლოგიური კლინიკა და 12 აფთიაქი, ნარჩენების შეგროვება, მართვა-ორგანიზებას უწევს ერთ მუნიციპალურია (ა)იპ და 5 ჯართის შემგროვებელი ობიექტი. ტრანსპორტი და დასაწყობება 130 - საწარმო, უძრავი ქონების იჯარით დაკავებულია 18 ბიზნესი, საშენი მასალების მომპოვებელი მრეწველობა და მშენებლობაში 62 საწარმო, საბუღალტრო - და

IT სერვისებს მხოლოდ 8 საწარმო ახორციელებს. სოფლის მეურნეობის დარგი წარმოდგენილია 36 მცირე საწარმოთი (დასაქმებულია 503) და 327 საოჯახო ფერმერით, მათ შორის 111 მეფუტკრით (ფერმერულ მეურნეობებში დასაქმებულია 834) და 17 კოოპერატივით. ფერმერული მეურნეობების ძირითადი ნაწილი რეგისტრირებული არ არიან, როგორც საწარმოები. 2023 წლის პირველ იანვრამდე სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მწარმოებლები გათავისუფლებული არიან დასაბეგრი შემოსავლიდან, აღნიშნული არ ავალდებულებთ, პირველადი პროდუქციის მწარმოებლებს რეგისტრაცია გაუკეთონ თავიანთ საქმიანობას.

2020 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი 13295 ჰა, აქედან სახნავ სათესი მიწების ფართობია 8295 ჰა, კერძო საკუთრებას შეადგენს 6295 ჰა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია 2000 ჰა. სახნავ სათესი და 5000 ჰა სამოვრები, დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შემდეგნაირად არის განაწილებული: ვენახი 1720 ჰა, ხეხილი 383 ჰა, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები (მაგ: დაფნა) 61 ჰა, ციტრუსი - 12 ჰა, კაკლოვანი კულტურები 228 ჰა და კენკროვანი კულტურები 120 ჰა,

უკანასკნელ წლებში მუნიციპალიტეტში დაიწყო კენკროვანი კულტურების (ყოლო, ლურჯი მოცვი, რემონტატული მარწყვი) მასიური გაშენება რაც გამოიწვია ბაღების გასაშენებლად სახელმწიფო პროგრამით თითქმის სრულად დაფინანსებამ და კულტურებისადმი ყოველწლიურად მზარდმა მოთხოვნამ.


მნიშვნელოვანი წვლილი აქვს დახურულ გრუნტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველად წარმოებას. ჯამურად 2000 ჰექტარზე მოჰყავთ მწვანილი და ბოსტნეული. მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობის საკუთრებაშია 13500-მდე მსხვილფეხა პირუტყვი, 2,300-მდე ღორი, 1,600 თხა და ცხვარი და 93,000 ფრთა ფრინველი. წარმოებული ყველის, სულგუნის და კვერცხის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ, რეგიონის და დედაქალაქის ბაზარზე. მუნიციპალიტეტში მესაქონლეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ხელსაყრელ პირობას ალპურ ზონაში სამოვრების არსებობა წარმოადგენს. თუმცა, მუნიციპალიტეტში მოქმედებენ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მეურნეობებში წარმოებული ხორცი ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ ბაზარს, რის გამოც ხორც-პროდუქტების დიდი წილი ბაზარზე იმპორტულ საქონელს უკავია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს ბიო ბოსტნეულის საწარმო, რომლის პროდუქციამაც მოკლე ვადებში მოიპოვა დედაქალაქის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვან შესაძლებლობას სახელმწიფო პროგრამის სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების პროექტი „იმერეთის აგროზონა“ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსება წარმოადგენს, პროექტი გულისხმობს წყალტუბოსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში, 220 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე „იმერეთის აგროზონის“ სასათბურე მეურნეობის. მაღალი, საშუალო და დაბალტექნოლოგიური სათბურების, ლოგისტიკის და გაყიდვების ცენტრის, გადამამუშავებელი საწარმოების და სხვადასხვა დამხმარე ბიზნესების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობას.

მეფუტკრეობა და ადგილობრივი თაფლი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ღირებულებათა ჯაჭვის მნიშვნელოვან ნაწილს ქმნის. წარმოდგენილია 111 ფერმერით. 2014 წლისათვის მათ საკუთრება იყო 4,635 სკა ფუტკარი და წარმოებული იქნა 33.3 ტ. თაფლი. ხოლო 2016 წლისათვის ამ მაჩვენებელმა შეადგინა 6,450 სკა და 135 ტ. თაფლი. დარგის განვითარებას ხელი შეუწყო თაფლოვანი კულტურების ბუნებრივმა გავრცელებამ და ფერმერთა დაგროვილმა გამოცდილებამ. ბაღდათის კლიმატური პირობები და ლანდშაფტი უზრუნველყოფს თაფლის უნიკალურობას, თუმცა პროდუქციის რეალიზება გარკვეული დაბრკოლებებით ხდება, ამასთან

გრაფიკი 4. მუნიციპალიტეტის მიწის განაწილება 2016წ.



ადგილი აქვს ფალსიფიკაციას, რაც ბაზარზე მომხმარებელთა უნდობლობას და ფასის დაწევას იწვევს. ასევე მუნიციპალიტეტში დარგის ვეტერინარის არ არსებობა ართულებს დაავადებებთან ბრძოლას და იწვევს სავალალო შედეგებს. სწორედ დაავადებებთან ბრძოლის მეთოდები არასათანადო ცოდნის გამო მეფუტკრეთა უმეტეს ნაწილს დიდი ზიანი მიაყენა 2020 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე გავრცელებულმა დაავადებებმა

სოფლის მეურნეობის დარგში წარმოების ზრდას აფერხებს სასოფლო-სამეურნეო სერვისებზე და აგროტექნიკაზე ნაკლებად ხელმისაწვდომობა და დარგის სპეციალისტების სიმცირე, მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ახალი დაავადებების და მავნებლების გავრცელება.

მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის მოცულობას მნიშვნელოვანი წილი უკავია რეგიონის მთლიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ეს განსაკუთრებით ეხება ხილის, ბოსტნეულის, თხილის, ხორცისა და ყველის წარმოებას. თუმცა, ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მათი რაოდენობა გაცილებით მწირია მოთხოვნასთან შედარებით და წარმოებული პროდუქცია ვერ აბალანსებს მუნიციპალიტეტის ბაზრის მოთხოვნებს, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში ხდება პროდუქციის გარედან შემოტანა. რაც შეეხება ღვინისა და თაფლის, კენკროვანი კულტურების, კაკლისა და დაფნის წარმოების მასშტაბებს, ისინი ძირითადად გააქვთ ქვეყნის შიდა ბაზარზე და განკუთვნილია ექსპორტისთვისაც.

მრეწველობის დარგში მოქმედი 54 მცირე და 1 საშუალო საწარმო წარმოდგენილია ღვინის ქარხნების, საშენი მასალებისა და ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის, ავეჯის საწარმოებით, უალკოჰოლო სასმელების ჩამომსხმელი ქარხნებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვება და იწარმოება მინერალური და სასმელი წყალი „საირმე“ და „ზეკარი“. წყალი „საირმის“ 80% ექსპორტზე გადის.

მუნიციპალიტეტში საექსპორტო პროდუქციის დინამიკა ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოსტნეულის, თხილისა და კენკროვანი კულტურების ექსპორტის ზრდა, თუმცა დიდ პრობლემას წარმოადგენს სასაწყობე-სამაცივრე მეურნეობების არ არსებობა.

2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნაწილი მოდის ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეკონსტრუქციაზე და სოფლის მეურნეობის მიმართულეზაზე აგრეთვე აღსანიშნავია კვების, სავაჭრო და მომსახურების სფეროს ობიექტების რეკონსტრუქცია გადამამუშავებელი მრეწველობის გადაიარაღება.

Covid 19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებმა თითქმის ნულამდე დაიყვანა შემოსავლები ტურიზმის, განთავსების, რესტორნებისა კვებითი მომსახურების სექტორებში, გარდა შპს კურორტი საირმისა, რომელიც მთელი პანდემიის პერიოდში COVID სასტუმროს წარმოადგენდა.

მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ზეკარი, მუნიციპალიტეტის და სახელმწიფო საკუთრებაში მრავლად არსებული თავისუფალი მიწა (800 ჰა) და შენობა ნაგებობა(40 ერთეული) სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების განხორციელების საშუალებას იძლევა.

2016 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტის **ბიზნეს სექტორში წლიური ბრუნვა შეადგენდა 56,5 მილიონ ლარს, რაც 3,2 მილიონი ლარით აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს. 2016 წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობა 19,2 მლიონ ლარს შეადგენდა, რაც 6,3 მილიონი ლარით ნაკლები იყო წინა საანგარიშო წელთან შედარებით. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ოდენობა 2015-2016 წელს შეადგენდა 1252-ს.**

ბაღდათის მუნიციპალიტეტი ტურიზმის სექტორი მიუხედავად covid 19 პანდემიით გამოწვეული ზიანისა, განვითარების მაღალი პოტენციალით გამოირჩევა. ნელ-ნელა ვითარდება სამთო ტურიზმი. ტურისტული ობიექტები, საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, სასტუმრო კომპლექსები და საოჯახო მარნები გადაეწყვნენ ახალ რეალობაზე, ისინი ადგილობრივი მოსახლეობისთვის კვლავ დასაქმების და შემოსავლის მიღების მნიშვნელოვანი წყაროს წარმოადგენენ. მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს „ბიზნეს განვითარებისა და ტურიზმის მომსახურების ცენტრის“ მშენებლობა, სადაც ბიზნესისა და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღება ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებზე, ასევე საოფისე ფართების ქირავნობა და ერთმანეთთან კომუნიკაცია. ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას აღინიშნა, რომ ადგილზე შესამჩნევია კვალიფიციური გიდების ნაკლებობა. რომ ტურიზმის სფეროში დაქირავებული მუშახელის ანაზღაურება საკმაოდ დაბალია, რის გამოც ვერ ხერხდება ადგილობრივების დაინტერესება. მიუხედავად იმისა, რომ წესრიგდება ტურისტული ინფრასტრუქტურა (მოეწყო საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები) არსებული არ არის საკმარისი. ნაკლებადაა წარმოდგენილი ტურისტებისთვის მიმზიდველი რეკრეაციული და მოსასვენებელი, გასართობ - გამაჯანსაღებელი ადგილები, არსებულად საჭიროებს კეთილმოწყობას. არ არის საზოგადოებრივი საპირფარეშოები(სველი წერტილები).

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ყველაზე იმედისმომცემ და განვითარებად მიმართულებებად ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორები მიიჩნევა. ამდენად მუნიციპალიტეტში ეკონომიკური ზრდის მიღწევა ამ სექტორების აქტივობებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მათი ხელშეწყობით, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებით, მათ საჭიროებებზე გათვლილი ქმედების განხორციელებითაა შესაძლებელი.

## 6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური ურთიერთობები

ბიზნეს კომპანიებს შორის თანამშრომლობის ქსელი განვითარების გარკვეულ საფეხურზე. მუნიციპალიტეტის მერის აქტიური ჩართულობით 2018 წელს შექმნილი ადგილობრივი საოჯახო მარნების გილდია უკვე 26 აერთიანებს, გილდია აქტიურ ქმედით პარტნიორულ ჯგუფს წარმოადგენს. ახორციელებენ ერთობლივ პროექტებს, გილდია მჭიდრო პარტნიორობაშია ადგილობრივ თვითმმართველობასთან. წარმოადგენენ ინიციატივებს მუნიციპალიტეტში მეღვინეობის დარგის განვითარებისთვის პარტნიორული ღონისძიებები განხორციელების მიზნით. 2017 წელს შექმნილია საირმის კერძო მეწარმეთა ასოციაცია 38 წევრით, კერძო მეწარმეები ასევე პირადი ურთიერთობებით ამყარებენ ბიზნეს კავშირებს, გარკვეული ურთიერთობები ჩამოყალიბებულია რეგიონის სავაჭრო სამრეწველო პალატასთანაც, მათ ბაზებში რეგისტრირებული ბაღდათის კერძო სექტორიდან 120 პირს იწვევენ ტრენინგებზე და სამუშაო შეხვედრებზე დარგების მიხედვით, თუმცა არასაკმარისად, ამასთან, შეხვედრები არ ხდება ადგილზე, რაც ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევა. მუნიციპალიტეტში თანამშრომლობისა და კომუნიკაციის სტრუქტურული მექანიზმი ჩამოყალიბების გარკვეულ ეტაპზეა. მუნიციპალიტეტმა მოიზიდა გარე დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ ვარციხეში მიმდინარე წელს დასრულდება ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტურიზმის მომსახურებისა და ბიზნეს განვითარების ცენტრის მშენებლობა, რომლის ფარგლებშიც შეიქმნება შეხვედრების და საგამოფენო, საწარმოო სივრცეები ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებისთვის. სოფლის მეურნეობაში არსებობს გარკვეული სტრუქტურირებული თანამშრომლობის გამოცდილება, რაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსებობაში გამოიხატება. დაახლოებით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების, სახელმწიფო ინიციატივებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით აქტიურად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა და მსგავსი ტიპის თანამშრომლობის წახალისება. სახელმწიფო პროგრამები და საერთაშორისო ორგანიზაციები (აღსანიშნავია, ENPARD, რომელიც 2013 წლიდან აქტიურად მუშაობს მუნიციპალიტეტში) ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს არა მხოლოდ ფინანსურ გაძლიერებაში, არამედ კვალიფიკაციის ამაღლებაში ერთობლივი ტრენინგებისა და სწავლებების გზით. შესაბამისად, იქმნება ერთგვარი პლატფორმა, სადაც სხვადასხვა კოოპერატივების წარმომადგენლებს ეძლევათ ერთმანეთთან საუბრისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა. ამჟამად, მუნიციპალიტეტში 17 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მოქმედებს. რაც შეეხება თანამშრომლობას ბიზნეს კომპანიებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას შორის-არსებობს ურთიერთობის კარგი გამოცდილება. ხშირია მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით ბიზნესის წარმომადგენლებისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც ხდება კონკრეტული შესაძლო დაფინანსების წყაროებზე ინფორმაციის მიწოდება,, ასევე პარტნიორულ პროექტების განხორციელებაზე კერძო სექტორი შემოდის ინიციატივებით.

თანამშრომლობა გარკვეულ შემდგარია საოჯახო ღვინის მარნების წარმომადგენლებთან, მუნიციპალიტეტის მერი და მისი წარმომადგენლობა რეგულარულად ხვდება მათ და ისახება გარკვეული ერთობლივი ღონისძიებები.

რომ მუნიციპალიტეტში შექმნილია მერის მრჩეველთა, ახალგაზრდული და მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართულობით, მიუხედავად ქმედითი ნაბიჯებისა თანამშრომლობა საზოგადოებრივ სექტორთან უფრო პოლიტიკურ ნაბიჯებად აღიქმება.

ბიზნეს სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებებთან შეხვედრებისას ადგილობრივი თვითმმართველობა მუდმივ მზადყოფნას აცხადებს კერძო და საჯარო თანამშრომლობის ჩამოყალიბებაზე, ერთობლივი

პროექტების განხორციელებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის წარმომადგენლების კვალიფიკაციის ზრდას, მუნიციპალიტეტის იმიჯის ამაღლებას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და ფინანსური წყაროების მოზიდვას.

თანამშრომლობის გაუმჯობესება, მეგობრულ პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება დაარღვევს ბიზნესში ჯერ კიდევ არსებულ კარჩაკეტილობას და ერთობლივი ქმედებებით ხელს შეუწყობს ადგილობრივი კერძო სექტორის ზრდას.

ცხრილი 2. ადგილობრივი თანამშრომლობის შეფასება

სათაური და / ან ფუნქცია (სფერო/საკითხი)	დაკავშირებული დაწესებულებები/პირები	მიღწევები (ასევე, მიუთითეთ, თუ როგორ მუშაობს - მაგ. "გეგმები", პროექტებს ახორციელებს, აწვდის მომსახურებას, მუდმივია ან სპეციალური/შემთხვევითია)	შეფასება: სასარგებლო ან უსარგებლო
თანამშრომლობა ტურიზმის სექტორში კომპანიებს შორის	საირმის კერძო მესაკუთრეთა ასოციაცია 38 წევრით,	თანამშრომლობენ და პროექტებს ახორციელებენ საერთო ინტერესების დაცვით, თანამშრომლობას აქვს მუდმივი ხასიათი.	სასარგებლო
სამოქალაქო და კერძო სექტორის თანამშრომლობა	სამოქალაქო ორგანიზაციამუნიციპალიტეტის მერია, კერძო სექტორი	სამოქალაქო სექტორი ახდენს სხვადასხვა თემებზე ტრენინგების ჩატარებას. პროექტებს აქვს არასისტემური ხასიათი, უმეტესად ხორციელდება შეხვედრების დაგეგმვა და თემის შერჩევა წინასწარი კვლევების გარეშე და შეხვედრებში შემთხვევითი პირების ჩართვა	სასარგებლო
საოჯახო მარნების გილდია	ადგილობრივი მარნები მუნიციპალიტეტი	ღვინის წარმოების აღორძინების და პოპულარიზაციის მიზნით გეგმავენ ადგილოწარმოების რეგისტრაციას და ბიო ღვინის წარმოების ხელშეწყობი პროექტების ერთობლივად შემუშავებას და დონორი ორგანიზაციების მოძიებას. შეხვედრებს აქვს მუდმივი ხასიათი.	სასარგებლო
აგროსექტორის თანამშრომლობა	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო ცენტრი, აგრო-სექტორის წარმომადგენლები, უთპარატიიბი	თანამშრომლობა გარკვეულ წილად ჩამოყალიბებულია, შექმნილია კოოპერატივებიც, თანამშრომლობას უფრო სპეციალური ხასიათი აქვს, საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის და სარგებლის მიღების მიზნით. საკონსულტაციო ცენტრი დროდადრო ხდება მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს და გასცემს და აგროვებს ინფორმაციას მიმდინარე პროექტებზე და პროექტებში ჩართულობაზე	სასარგებლო
საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა	კერძო სექტორის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის მერი, მერიის ეკონომიკის სამსახური	მერი დრო დადრო ხდება ბიზნეს ორგანიზაციებსა და კერძო სექტორის სხვა აქტიორებს. თავაზობს თანამშრომლობით ერთობლივი პროექტების განხორციელება, შეხვედრებს უმეტესად სპეციალური ხასიათი აქვს. კერძო სექტორი ეკონომიკის სამსახურიდან მიმართვის შემთხვევაში იღებს სამთავრობო პროექტების შესახებ ინფორმაციას, რასაც რეგულარული ხასიათი აქვს	სასარგებლო

**6.3. ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია:** მუნიციპალიტეტის მერიაში საქმისწარმოება ხორციელდება „ერთი ფანჯრის,, პრინციპით, ფოსტით თუ ხელზე შეტანილი დოკუმენტი რეგისტრირდება მერიის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, შემცირებულია დოკუმენტბრუნვის დრო. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემით მუნიციპალიტეტი უკავშირდება ყველა სამთავრობო ორგანიზაციას და სხვა საჯარო დაწესებულებებს. მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია ახდენს ინფორმაციის პრაქტიკულად გამოქვეყნებას. მოქმედებს მერიის ვებ-გვერდი და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი საინფორმაციო სამსახური, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებს აშუქებენ. მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური ბიზნეს სექტორთან ურთიერთობს მომართვის შემთხვევაში, გასცემს ინფორმაციასა და უწევს კონსულტაციებს ბიზნესის წარმომადგენლებს. განსაკუთრებით დამწყებ მეწარმეებს, უმეტეს შემთხვევაში უძნელდებათ არსებულ საკანონმდებლო ნორმებსა და რეგულაციებზე ინფორმაციის მოძიება. მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურში მოქმედებს სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების განყოფილებები. ტურიზმის განყოფილებას ასევე შეთავსებული აქვს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ფუნქცია, თუმცა შეუსაბამო პირობების გამო სათანადოდ ვერ ხორციელდება

ტურიზმის ცენტრის მომსახურების მიწოდება. ახლადშექმნილი სოფლის მეურნეობის განყოფილება აყალიბებს თანამშრომლობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებთან. არსებული მდგომარეობის კვლევა აჩვენებს, რომ ბიზნესის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით მცირე და დამწყებ მეწარმეებს უჭირთ საჭირო ინფორმაციის მოძიება და დამუშავება.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუწყოს ბიზნეს სექტორის განვითარებას სხვადასხვა საქმიანობების განხორციელებით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საქმიანობები სპონტანური ხასიათისაა, არ არის მოქცეული კონკრეტულ სისტემაში და არ ეყრდნობა რაიმე სახის სტრატეგიულ დოკუმენტს.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია საკუთარი სატენდერო წინადადების წარდგენა. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და ყველა გადაწყვეტილება აიტვირთება სააგენტოს ვებ გვერდზე. სააგენტოს დავების განხილვის საბჭო განიხილავს ყველა შესულ საჩივარს, 2012 წლიდან მოყოლებული მუნიციპალიტეტის ტენდერებთან დაკავშირებით შესული 15 საჩივარიდან დადებითად დაკმაყოფიდა მხოლოდ 3. სამართლებრივი დავა არცერთ საქმეზე არ დაწყებულა.

მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა ან პრივატიზება ხორციელდება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების მონაცემები თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები ღიაა მოქალაქეებისთვის და მათ შეუძლიათ წარმოადგინონ შენიშვნები და ინიციატივები. თუმცა, ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან საკრებულოსადმი მიმართვების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. მუნიციპალიტეტში მოქმედებს მერიის დაქვემდებარებაში არსებული გაზეთი, მერიის ვებ გვერდი და საინფორმაციო ცენტრი რომლებიც აქტიურად აშუქებს ადგილობრივ სიახლეებს და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მუშაობას, მუნიციპალიტეტში განიხილება საკითხი შემუშავდეს ბიზნეს ხელშემწყობი პროგრამები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდას და ინვესტორების დაინტერესებას, შეირჩეს კერძო სექტორთან თანამშრომლობის და ურთიერთობის ფორმები, გაუმჯობესდეს კომუნიკაცია და ინფორმირებულობა სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებზე.

ცხრილი 3. მზარდი სექტორები (ქვესექტორები) და მათი გამოწვევები

<i>(მზარდი) სექტორი (ქვესექტორი)</i>	<i>Box A.1 მთავარი გამოწვევები, რომელთა გადაჭრისათვის საჭიროა ბიზნესის დახმარება</i>
<i>სექტორი (ქვესექტორი) 1 ტურიზმი,</i>	<i>მუნიციპალიტეტის შესახებ ნაკლები ცნობადობა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე, ინვესტიციების სიმცირე, არასაკმარისად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა, ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე ინფორმაციის არასაკმარისი დონე, დარგში არასაკმარისი ცნობიერების დონე</i>
<i>სექტორი (ქვესექტორი) 2 სოფლის მეურნეობა</i>	<i>მცირემოცულობის ინვესტიციების სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ სექტორებში; არასათანადოდ განვითარებული ინფრასტრუქტურა, სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობებზე, აგრო ტექნიკაზე ნაკლებად ხელმისაწვდომობა, დარგში ცნობიერების დაბალი დონე, პროფესიული კადრების ვეტერინარებისა და აგრონომების სიმცირე</i>
<i>სექტორი (ქვესექტორი) 3 ვაჭრობა და მომსახურება</i>	<i>ბიზნესის საჭირო უნარების ნაკლებობა, ინვესტიციების სიმცირე, ფინანსური რესურსების სიმცირე, საწარმო ფართობზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით ტურისტულ ობიექტებთან</i>

**6.4. ფინანსების ხელმისაწვდომობა:** ბიზნესის განვითარებისთვის არსებული ფინანსური რესურსების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინტერნეტ რესურსების მეშვეობით, ამასთან, მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია სტრუქტურული ერთეული, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში აწვდის დაინტერესებულ პირებს ინფორმაციას ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობის შესახებ და ფაქტობრივად ახორციელებს რეფერალურ სერვისს. თუმცა არასაკმარისად. მიუხედავად სახელმწიფო პროგრამების შესახებ და მათ ვებ

გვერდზე გამოქვეყნებისა განთავსებული მონაცემები არ არის საკმარის და საჭიროებს დაზუსტებებს. ამასთან მუნიციპალიტეტში მოქმედებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლობა, თუმცა სრულყოფილად ვერ ხდება სამინისტროს ხელშეწყობით განსახორციელებელი პროექტებზე მოსახლეობის ინფორმირება და დაინტერესება. სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის პროცედურები ბიუროკრატიულია, ხშირ შემთხვევაში დროში იწელება და კერძო სექტორი არჩევს საკუთარი შეზღუდული რესურსებით განხორციელოს დაწყებული საქმე. ამასთან, ბიზნეს კომპანიების უმეტესობას ინტერნეტ რესურსებთან წვდომა არ აქვთ და საჭიროებენ ინფორმაციის დიალოგის რეჟიმში მიწოდებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გასცემს სესხებს მცირე ბიზნეს კომპანიებისა და აგროსექტორისთვის 20 000 (7500 ევრომდე) ლარამდე ყოველგვარი გირაოს გარეშე. მოთხოვნა მეტი ოდენობის სესხებზე იზრდება და ბიზნეს კომპანიები სირთულეებს აწყდებიან სესხებისათვის საჭირო გირაოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამასთან მსხვილი სესხების გაცემა განიხილება ბანკების რეგიონალურ და სათაო ოფისებში. ბანკები სესხებს გასცემენ როგორც ძირითადი საშუალებების შესაძენად ასევე საოპერაციო ხარჯებისა და საბრუნავი საშუალებებისთვის. ბიზნეს მძიმე ტვირთად აწვება სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ბანკები სესხებს არ გასცემენ სტარტაპერებისთვის, ბიზნეს კომპანიებს უნდა ქონდეთ მინიმუმ 6 თვიანი ბრუნვა.

ცხრილი 4. ბიზნეს სექტორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

დაწესებულება/დონორი ორგანიზაცია (მათ შორის, ბანკები და სხვა საკრედიტო ორგანიზაციები)	კლიენტები/ბენეფიციარები	სასურველი ეკონომიკური სექტორები/საქმიანობები	მინიმალური და მაქსიმალური თანხა, რომელიც უნდა უზრუნველყოფილ იქნეს	მოთხოვნები (სესხის უზრუნველყოფა, სხვა)
მუნიციპალიტეტში არსებული 7 საკრედიტო ორგანიზაცია	მოქმედი ბიზნეს სექტორი, სტარტაპერები, ფერმერული მეურნეობები	სოფლის მეურნეობა და ტურიზმი, ვაჭრობა და მომსახურება, მრეწველობა სხვა საწარმოები	300-100 000 ლარი	5000 ლარამდე უზრუნველყოფის გარეშე, ზემოთ თავდება-იპოთეკა
ბიზნეს ხელშეწყობი ს-ახელმწიფო პროგრამები	სტარტაპერები და მოქმედი ბიზნეს სექტორი	ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა	150 000-5000 000	10%-50% თანამონაწილეობა
მიკრო და მცირე საწარმოთა ხელშეწყობი სახელმწიფო პროგრამა	სტარტაპერები და მოქმედი საწარმოები, ფერმერული მეურნეობები	ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა და მომსახურება	5000-15000	20 % თანამონაწილეობა
სოფლის მეურნეობის ხელშეწყობი სახელმწიფო პროგრამები	აგროსექტორული საწარმოები და სტარტაპერები	აგრო სექტორი, პირველადი და გადამამუშავებელი საწარმოები	10 000- 2 000 000	0-40 % თანამონაწილეობა
დონორი ორგანიზაციები	მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორი, კოოპერატივები, სტარტაპები	კოოპერატივები, მიკრო და მცირე მეწარმეები	1000>	თანადაფინანსება 20 %-ზე>

სახელმწიფოს მხრიდან სოფლი მეურნეობის დარგში მოქმედ პროექტებში დაფინანსების პროცესები ხშირად ჭიანურდება და მეწარმეები აგრო ვადებში ვეღარ ეტყვიან;

**6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა:** ბოლო წლებში ბიზნესის განვითარების ტენდენციის პარალელურად იზრდება მოთხოვნა შენობა-ნაგებობებზე, მიწასა და ინფრასტრუქტურაზე. მერიის ეკონომიკის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწების იდენტიფიცირებას, დაურეგისტრირებელი მიწების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, საკუთრებაში არსებულის შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაციას. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ბარის ზონაში რეგისტრირებულია 500 ჰა სახნავ-სათესი მიწა, ხოლო ალპურ ზონაში 4700 ჰა. საძოვარი, 9 ჰა არასასოფლო დანიშნულების მიწა და 52 ერთეული შენობა-ნაგებობა.

მოთხოვნა ძირითადად მიკროკომპანიებისთვის შესაფერის და იზოლირებულ სავაჭრო-სამუშაო სივრცეებზე არის, საერთო საზიარო ობიექტების გარეშე. მუნიციპალიტეტს აქვს ქონებები რომელიც ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და გაცემულია იჯარით (20ობიექტი), მაგრამ მოთხოვნა უფრო დიდია. საოფისე ფართები

ძირითადად კერძო საკუთრებაშია განლაგებული, მაგრამ ფასები იმდენად მაღალია, ბიზნეს კომპანიებს არ აქვთ სახსრები იქირაონ ეს ფართები.

მუნიციპალიტეტში PIRDP-დან მიღებული დაფინანსებით ხორციელდება ტურიზმის მომსახურების და ბიზნეს განვითარების ცენტრის მშენებლობა, რომელიც ფაქტობრივად ბიზნეს ინკუბატორი იქნება, არსებულ და ახალ საწარმოებს 2 წლის წლის ვადით უსასყიდლოთ და შემდეგი სამი წელი შეღავათიანი პირობით გადაეცემათ საწარმოო ფართები

მოთხოვნა ძირითადად მიკროკომპანიებისთვის შესაფერის და იზოლირებულ სავაჭრო-სამუშაო სივრცეებზე არის, საერთო საზიარო ობიექტების გარეშე. მუნიციპალიტეტს აქვს ქონებები რომელიც ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და გაცემულია იჯარით (20ობიექტი), მაგრამ მოთხოვნა უფრო დიდია. საოფისე ფართები ძირითადად კერძო საკუთრებაშია განლაგებული, მაგრამ ფასები იმდენად მაღალია, ბიზნეს კომპანიებს არ აქვთ სახსრები იქირაონ ეს ფართები. მუნიციპალიტეტი გეგმავს შეიქმნას ბიზნეს ინკუბატორი, რომელიც გათვლილი იქნება კერძო ბიზნესის მოთხოვნებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული და სახელმწიფო ქონებები ძირითადად ამორტიზირებულია, ამასთან უმეტესი ნაწილს არასტრატეგიული მდებარეობა აქვს საოფისე, სავაჭრო ფართებისთვის.

დროში იწელება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, მიწისა და ინფრასტრუქტურის პრივატიზებითა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცედურები, რაც გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნის კერძო ბიზნესს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავისუფალი ქონებებიც ( 20 ერთეული შენობა-ნაგებობა და 300 ჰა მიწა), დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში გარკვეული ქონებების გადმოცემა ხდება მუნიციპალიტეტზე. სახელმწიფო მის საკუთრებაში არსებულ ქონებას მაღალ, შეუსაბამო საპრივატიზებო ფასს ადებს, რის გამოც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მათ მიერ ქონების გასხვისება ნაკლებად განხორციელებულა.

ცხრილი 5. კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში

კერძო სექტორის მიერ დაფინანსებული საჭიროებები ინფრასტრუქტურის მიხედვით	ამ სეგმენტში არსებული მიწოდება	მიუთითეთ მოთხოვნები (ექვსი წლის მანძილზე)	სამომავლო წლის სახელმწიფოს არსებული ქონება/ობიექტები, რომლებიც შესაძლოა განვითარდეს
მიკროკომპანია ან ინდივიდუალური მეწარმის სამუშაო სივრცე (სამქროები) - საზიარო საერთო ობიექტებით/ობიექტების გარეშე	10	60	30
საოფისე ფართი - საზიარო საერთო ობიექტებით/ობიექტების გარეშე	0	30	10
ბიზნეს ინკუბატორი (10-ზე <სტარტაპი/მიკროკომპანია; >სტარტაპი/მიკროკომპანია)	1	1	
ბიზნეს/ინდუსტრიული პარკი		1	1
სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკი		1	1

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გეგმავს საინვესტიციო მონაცემების ბაზის შექმნას, სადაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებებთან და წინადადებებთან ერთად განთავსებულის იქნება კერძო სექტორის საინვესტიციო წინადადებები. ამასთან აუცილებლობას წარმოადგენს მცირე საწარმო-საოფისე ფართებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

**6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო:** ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერები მოხსნილია ჯერ კიდევ არსებობს რიგი რეგულაციები და ადმინისტრაციული წესები. ყველაზე დიდი პრობლემა მშენებლობის ნებართვის მისაღებად ყველაპროცედური სგავლაა. ამ სფეროში არარსებობს კოორდინაცია უწყებებს შორის და სხვადასხვა უწყება ითხოვს ერთიდაიგივე ინფორმაციის წარდგენას. თითოეულ ცალკეულ დამტკიცებას დროს ჭირდება და მშენებლობის ნებართვაზე განაცხადების განხილვა არ ხდება ერთდროულად ყველა პასუხისმგებელი უწყების მიერ, მომდევნო უწყება ელოდება წინა უწყების განხილვის შედეგს... ამასთან გარკვეული დაბრკოლებებით მიმდინარეობს მიწისა და ქონების რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და გაცემა.

მუნიციპალიტეტში შემუშავებული არ არის სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარების პროგრამები და სტრატეგიები, შესამუშავებელი და დასამტკიცებელია მარკეტინგული სტრატეგია ეკონომიკური ხელშეწყობის პროგრამები.

ცხრილი 6. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

ადიარებული მარეგულირებელი გამოწვევები	ძლიერი/სუსტი უარყოფითი ზეგავლენა	მთავარი მონაწილე საჯარო უწყება	ადგილობრივი შერბილების/გაუმჯობესების მასშ-ტაბი (დეტალები)
სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების სარგებლობის უფლების, ლიცენზიის აღების ს პრობლემა	ძლიერი უარყოფითი გავლენა როგორც სატყეო ფონდის გასწვრივ არსებულ კერძო სექტორზე საექტორზე, ისე მეფუტკრეებზე	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო,	ვერ ხერხდება
მიწის რეგისტრაციის პრობლემა	სუსტი უარყოფითი ზეგავლენა	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	ვერ ხერხდება

**6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ჩართულობა:** სამუშაო ძალის განვითარება მუნიციპალიტეტისთვის შედარებით ახალი კონცეფციაა. საგანმანათლებლო სისტემა არ პასუხობს ბიზნეს სექტორის რეალურ საჭიროებებს. მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პირობებში მოთხოვნა მომსახურე პერსონალზე და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე დიდია. მაღალ მოთხოვნადია აგრეთვე უცხო ენების მცოდნე გიდები, მზარეულები, ვეტერინარები, ფინანსისტები, იურისტები და სხვა კადრები. ფაქტობრივად მოთხოვნაა კვალიფიციურ კადრებზე თითქმის ყველა სექტორში, თუმცა იმის გამო, რომ ადგილობრივ შრომის ბაზარზე დაბალია შრომის ანაზღაურება (2019-2020 წელს დაქირავებით შრომის ანაზღაურების საშუალო ოდენობა შეადგენდა 400 ლარს, რაც წინა წლებთან შედარებით ევროს კურსის გათვალისწინებით თითქმის 20%-ითაა შემცირებული) მუნიციპალიტეტიდან შრომისუნარიანი და კვალიფიციური კადრები გადინებულია უცხოეთში, მეზობელ მუნიციპალიტეტებში, რეგიონის ცენტრში და მსხვილ ურბანულ ქალაქებში.

კერძო სექტორში დასაქმების მაძიებლები რეგისტრირდებიან სხვადასხვა ელექტრონულ დასაქმების სააგენტოებში, ასეთია [www.worknet.gov.ge](http://www.worknet.gov.ge), რომელზეც მუნიციპალიტეტიდან რეგისტრირებულია 500-ზე მეტი პირი, მათ შორის არიან უკეთესი სამუშაო პირობების მაძიებელნიც.

შიდა მუნიციპალური დასაქმების სააგენტო არ არსებობს, დასაქმების მსურველები პირადი კონტაქტებით ან ინტერნეტ რესურსებით იძიებენ ვაკანსიებს.

ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები არასაკმარისია, მიუხედავად იმისა რომ ჩამოყალიბდა გარკვეული თანამშრომლობის მექანიზმები კერძო-საგანმანათლებლო და საჯარო სექტორს შორის, ჯერ ქმედითი სასწავლო პროგრამები არ განხორციელებულა

ამასთან ზოგიერთი ბიზნეს კომპანია უზრუნველყოფს სწავლებას მხოლოდ მათი საჭიროებების მიხედვით, მაგრამ მას არ აქვს ორგანიზებული ხასიათი და ეს არ არის შეთანხმებული ამავე სექტორში მომუშავე სხვა კომპანიებთან.

**6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი:** მუნიციპალიტეტი მიმზიდველ ადგილად ითვლება ტურისტული და ინვესტირების თვალსაზრისით. რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. ადგილმდებარეობის ფაქტორი მნიშვნელოვანია არსებული ბიზნესის გაფართოებისა და ახალი ბიზნეს კომპანიების მოზიდვისთვის. ბოლო 5 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციამ მსხვილი ინვესტიცია განახორციელა ფიზიკური და ბუნებრივი გარემოსა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საკურორტო ზონაში კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ სასტუმროების მოდერნიზაციასთან და გახსნას თან ერთად გაკეთდა შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურა, დასასვენებელი პარკები, საფეხმავლო ბილიკები, წყლის ბიუვეტები, სპა ცენტრი, საცურაო აუზი თერმული წყლით (რომლითაც წლის ნებისმიერ დროს სარგებლობენ), სხვადასხვა ტურისტული მომსახურების ობიექტები. სულ ახლახან ჯანმრთელობის

გაჯანსაღებისა და დასვენების სერვისთან ერთად შპს საირმემ გართობისა მიმართულებების განვითარებაზე გააკეთა აქცენტი, შექმნა ინფრასტრუქტურა ექსტრემალურ-სათავგადასავლო ტურების მოყვარულებისთვის, ასევე მაღალი კლასის ტურისტის მოსაზიდად მოახდინა 4 ვარსკვლავიანი სასტუმროების ქსელის შემოყვანა და ახალი ტურისტული ზონის შექმნა შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მომსახურების ობიექტებით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი კურორტი საირმის სახით საერთაშორისო თერმული ქალაქების ასოციაციის წევრია აღნიშნული დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის იმიჯზე, ცნობადობასა და მიმზიდველობაზე .

მუნიციპალიტეტი რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით ცნობილია ღვინით. მეღვინეები მუდმივად იღებენ მონაწილეობას ღვინისა და ადგილობრივი პროდუქციის ფესტივალებში, საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში, არიან სხვადასხვა ფესტივალში გამარჯვებულები როგორც ქვეყნის შიგნით ისე საზღვარგარეთ. ბოლო 10 წლის განმავლობაში გაიხსნა 52 საოჯახო ღვინის მარანი და საოჯახო სასტუმროები. რომლებიც მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე გადანაწილებული.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად უჭერს მხარს ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაციას და გარე ბაზრებზე წვდომას.2019 წელს დაფუძნდა ყოველწლიური ფესტივალი- ღვინის არტ ფესტივალი ბაღდათი, ადგილობრივმა მწარმოებლებს გაეწიათ თანადაფინანსება გამოფენა ბაზრობებში ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, რაც რეალური შედეგის მომტანი გახდა ღვინის მწარმოებლებისთვის.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისფლების ძალისხმევამ ბაღდათის ტურისტულ ადგილად პოპულარიზაციის მიმართულებით, სხვადასხვა სარეკლამო კამპანიებმა, ქვეყანაში ტურისტების ზრდის ტენდენციამ განაპირობა ტურისტების ნაკადის ეტაპობრივი ზრდა ქვეყნის სხვა რაიონებიდან და საზღვარგარეთიდან, რაც COVID 19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე ბოლო 2 წლის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა, ფაქტობრივად ნულამდე იქნა დაყვანილი გაყიდვები ტურიზმის და მეღვინეობის სექტორში.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია, ტურიზმის განყოფილება და DMO იმერეთი მუშაობენ მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის ამაღლებაზე, მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების უმეტესობა მონიშნულია Google რუკაზე, ამასთან მარკირებულია ტურისტული მარშრუტები მთის ზონაში.

მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში და ფესტივალებში. კერძო სექტორთან ერთად შემუშავებულია მუნიციპალიტეტის ტურისტული რუკა, ბუკლეტები, და ვიდეორგოლები.

**7. SWOT ანალიზი**

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ol style="list-style-type: none"> <li>1.ხელსაყრელი მდებარეობა და კლიმატური პირობები</li> <li>2. მნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის სრული მზაობა ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის</li> <li>3.სოფლის მეურნეობის დარგების მრავალფეროვნება</li> <li>4. ბუნებრივი რესურსების სიუხვე</li> <li>5.ტურისტული ობიექტების მრავალფეროვნება და სიმრავლე</li> <li>6.ცნობილი კლიმატურ-ბალნეოლოგიური 2 კურორტის საირმის და ზეკარის არსებობა</li> <li>7.კურორტ საირმეში გამართული გამაჯანსაღებელი, დასასვენებელი, გასართობი ინფრასტრუქტურა</li> <li>8.თერმული ქალაქების საერთაშორისო ასოციაციის წევრობა;</li> <li>9.საოჯახო ღვინის მარნების სიმრავლე და ბიო ღვინის წარმოება;</li> <li>10.მოწესრიგებული ძირითადი საგზაო ინფრასტრუქტურა;</li> <li>11.თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო მიწები და ინფრასტრუქტურა</li> <li>12 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასათბურე მეურნეობის კლასტერი „იმერეთის აგრო ზონა“</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1, მუნიციპალიტეტის არასაკმარისი ცნობადობა.</li> <li>2. არასაკმარისი მუნიციპალური სერვისები</li> <li>3. ტურისტული მომსახურების დაბალი დონე. გიდების არასაკმარისი დონე</li> <li>4.ბიზნეს სერვისებისა და ინფრასტრუქტურის ნაკლებობა</li> <li>5.სამეწარმეო განათლების არასათანადო დონე.</li> <li>6. ადგილობრივი შრომისუნარიანი კადრების მიგრაცია;</li> <li>7.ნაკლებად ხელმისაწვდომი სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და სერვისები</li> <li>8. ტურისტულ ლოკაციებთან ვიზიტორებისთვის არასაკმარისი ინფრასტრუქტურა</li> <li>9. მეცხოველეობის დარგში დაბალპროდუქტიულობა</li> <li>10.ინვესტიციებისა და ფინანსური ხელმისაწვდომობის ნაკლებობა</li> <li>11. ნაკლებად მოწესრიგებული შიდა საუბნო - საგზაო და ბიზნეს ხელშეწყობი ინფრასტრუქტურა.</li> <li>12.სამუშაო ადგილების და შრომის ანაზღაურების სიმცირე</li> </ol>

შესაძლებლობები	საფრთხეები
1. ქვეყანაში მოქმედი ბიზნეს ხელშემწყობი პროექტები; 2. მუნიციპალიტეტში სამხრეთ-დასავლეთ სატრანსპორტო მაგისტრალის უმოკლესი პერსპექტივა; 3. ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა 4. სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტირების მზარდი ტენდენცია 5. მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქტზე მზარდი მოთხოვნა 6. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა 7. კაპიტალური ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა 8. ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა და ბიზნესის დაწყების სიოღე 9. ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე	1. სტანდარტებისა და ხარისხის სერტიფიკატების მოთხოვნები 2. სოფლის-მეურნეობაში გავრცელებული მავნებლები და მცენარეთა და პირუტყვთა დაავადებები 3. იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე დაბალი ფასი 4. მცოცავი სავალუტო კურსი 5. ქვეყანაში მიგრაციის მაღალი ტენდენცია 6. პანდემიური პროცესების გამწვავება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის დასავლეთ-სამხრეთ საქართველოს სატრანსპორტო მაგისტრალზე მდებარეობის უახლოესი პერსპექტივა, მცირე და საშუალო მეწარმეობისა და სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამები და პროექტები, მსოფლიოში, სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტირების მზარდი ტენდენცია, ქვეყნის საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკა, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სუსტი მხარეების დასაძლევად. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის ერთობლივი ქმედებები აუცილებელია მიმართული იქნას ისეთი ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც ადგილობრივი ძლიერი მხარეების გათვალისწინებით მოახდენენ სუსტი მხარეების დაძლევას, გათვალისწინებული იქნება გარე ფაქტორები და საფრთხეები.

ქმედებები მიმართული უნდა იყოს იმ ძირითადი გამოწვევების დასაძლევად რომელიც სიტუაციური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა:

- მუნიციპალიტეტის ცნობადობის ნაკლებობა და საერთაშორისო პარტნიორების სიმცირე;
- მცირე მოცულობის ინვესტიციები სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ სექტორებში;
- ნაკლებად დივერსიფიცირებული ეკონომიკა, დაბალი პროდუქტიულობა;
- სოფლის მეურნეობის სექტორში დაბალი დამატებული ღირებულება;
- დასაქმების შესაძლებლობათა სიმცირე და კერძო სექტორში დაბალი შრომის ანაზღაურება;
- არასათანადოდ განვითარებული ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მათ შორის სასაწყობო და სამაცივრე ობიექტების სიმცირე;
- მნიშვნელოვანი ფართობის აუთვისებელი ტერიტორიები/მიწები და შენობა-ნაგებობები;
- ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა;
- ფერმერული მეურნეობების განვითარების დაბალი დონე (ფერმერების უმრავლესობა იღწვის საარსებო ან ნახევრადკომერციული ბიზნესის შესანარჩუნებლად);
- COVID 19 პანდემიით მიყენებული ზიანი და არსებული რეალობის გავლენა;
- ბიზნესისა და მარკეტინგისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ნაკლებობა, წარმოების შესაძლებლობების განვითარების დაბალი დონე;
- საქონლის ექსპორტისთვის კონკურენტუნარიანი პროდუქციის სიმცირე; ადგილობრივი კულტურების არასაკმარისი განვითარება იმპორტული პროდუქციის მიმართ კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით;
- საკონსულტაციო მომსახურებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; ახალი ტექნოლოგიების სიმწირე;
- არასაკმარისად განვითარებული ადგილობრივი საგზაო ინფრასტრუქტურა; სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა;
- ადგილობრივი კერძო სექტორის არასაკმარისი აქტიურობა საჯარო სექტორთან დიალოგსა და ურთიერთობებში.

## 8. ხედვა და მიზნები

ბაღდათის მუნიციპალიტეტი განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურითა და დივერსიფიცირებული ეკონომიკით მიმზიდველი ადგილია ტურისტებისთვის, სამუშაოდ და ბიზნესის საკეთებლად

ხედვა გრძელვადიანია. სასურველი შედეგის მისაღებად მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის, ადგილობრივი კერძო სექტორისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ერთობლივი ჩართულობა და მრავალწლიანი ძალისხმევა დასჭირდება, მისი მიღწევა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ 2021-2022 წლების პერიოდს მნიშვნელოვნად გასცდება.

**მიზნები:**

1. მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და ტურისტული მიმზიდველობის ზრდა
2. ადგილობრივი მეწარმეების უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება
3. სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

## 9. სამოქმედო გეგმა

### ცხრილი 7. სამოქმედო გეგმა

თემატიკური ბლოკები	მთავარი მიზნები	ქმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება)	მონაწილე პარტნიორები	საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)	მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები (Output (Product) indicators and targets)	შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები (Outcome (Result) Indicators and targets)
1. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო; 3. მიწა და ინფრასტრუქტურა; 4. ფინანსური ხელში საწვდომობა 5. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	1. მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და ტურისტული მიზნების ზრდა	1.1 ხანში ღვინის საწნახელთან და ხანის ჩანჩქერთან ვიზიტორებისათვის მცირე ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	11/2021-12-2022	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო, გარე დაფინანსება	350 000 ლარი	მოწყობილია ხანში ღვინის საწნახელთან და ხანის ჩანჩქერთან მისასვლელი საფეხმავლო ბილიკები, გადახურულია საწნახელი, მოწყობილია და დაკვიდებული ვიზიტორებისათვის მცირე ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურა	გაზრდილია ხანის ჩანჩქერის, და ხანის საწნახელის მიზიდველობა, მუნიციპალიტეტის ცნობადობა, გაზრდილია ვიზიტორთა რაოდენობა, გაზრდილია ტურისტული მარშრუტების რაოდენობა/ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა ტურისტული მარშრუტების ზრდა,
		1.2. ტურისტებისთვის მაიკოვსკის სახლმუზეუმთან დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება	10/2021-8/2022	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სრიგპ/გარე დაფინანსება	870 000 ლარი	მოწყობილია ტურისტული ინფრასტრუქტურა- მოწყობილია საპარკინგე ადგილები, საპირფარეოები, საკემპინგე და საპიკნიკე ადგილები, ადგილობრივი პროდუქციისა და ხელნაკეთი ნივთების სარეალიზაციო ადგილები, რეკრეაციული სივრცეები და მოსასვენებელი ადგილები/საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობა	გაზრდილია მაიკოვსკის სახლმუზეუმის და მუნიციპალიტეტის ტურისტული მიზიდველობა, გაზრდილია ვიზიტორთა რაოდენობა, გაზრდილია ტურისტული სერვისების და პროდუქტების რაოდენობა, გაზრდილია სერვისების მიმწოდებელ მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა, გაზრდილია დასაქმება გაზრდილია ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, გაზრდილია ადგილობრივი მწარმოებლების შემოსავლები/ვიზიტორთა რაოდენობა, ტურისტული სერვისების რაოდენობა. დასაქმებულთა რაოდენობა, რეალიზაციის ოდენობა
		1.3 როდოპოლისის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიზიტორებისთვის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	10/2021-6/2023	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სრიგპ/გარე დაფინანსება	450 000 ლარი	მოწყობილია ტურისტული ინფრასტრუქტურა- მოწყობილია საპარკინგე ადგილები, საპირფარეოები, საკემპინგე და საპიკნიკე ადგილები, ადგილობრივი პროდუქციისა და ხელნაკეთი ნივთების სარეალიზაციო ადგილები, /საპროექტო	გაზრდილია ვარციხის ხიხის და მუნიციპალიტეტის ტურისტული მიზიდველობა, გაზრდილია ვიზიტორთა რაოდენობა, გაზრდილია ტურისტული სერვისების და პროდუქტების რაოდენობა, გაზრდილია სერვისების მიმწოდებელ მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა, გაზრდილია დასაქმება გაზრდილია ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, გაზრდილია ადგილობრივი მწარმოებლების შემოსავლები/ვიზიტორთა

					დოკუმენტაციასთან შესაბამისობა	რაოდენობა, ტურისტული სერვისების რაოდენობა. დასაქმებულთა რაოდენობა, რელიზაციის ოდენობა
1.4.ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა ბაზრობებში და ვესტივალებში მონაწილეობა	10/2021-6/2023	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, DMO იმერეთი	50 000 ლარი	შერჩეულია ღონისძიებები მონაწილეობის მისაღებად მიღებულია მონაწილეობა შერჩეულ ვესტივალებში, გამოფენა ბაზრობებში/ღონისძიებათა და მონაწილე ადგილობრივ მეწარმეთა რაოდენობა	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის და საინვესტიციო შესაძლებლობები შესახებ ინფორმირებულია ფართო მასები, ინვესტორები, მომატებულია ტურისტთა ნაკადები, გაზრდილია გარე ბაზრებთან წვდომა და ექსპორტირებული ადგილობრივი პროდუქციის ოდენობა/ვესტივალებსა და გამოფენა ბაზრობებში მონაწილეთა ოდენობა, საინვესტიციო პაკეტებისა და საცნობარო-სარეკლამო მასალების ოდენობა დაინტერესებული ინვესტორების რაოდენობა, ტურისტული ნაკადები დინამიკაში, ექსპორტირებული პროდუქციის ოდენობა,	
1.5 ინფო ტურების მოწყობა ტურ ოპერატორებისთვის და საინფორმაციო სააგენტოებისათვის	10/2021-12/2022	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, DMO იმერეთი	20 000 ლარი	ჩატარებულია ინფო ტურები მუნიციპალიტეტის გაცნობის, ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით/ინფო ტურების, ვიდეო რგოლების გადაცემების ოდენობა	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ტურისტული მიმზიდველობა და პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის ცნობადობა, გაზრდილია ვიზიტორების რაოდენობა, გაზრდილი რელიზაცია და ადგილობრივი მწარმოებლების შემოსავლები	
1.6 ქვასადარასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ვიზიტორებისათვის მცირე ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	11/2021-12-2022	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო,	400 000 ლარი	ბუნებრივი მეგლის მიმდებარეს მოწყობილია ტურისტული ინფრასტრუქტურა-მოწყობილია საპარკინგე ადგილები, საპირფარეშოები, საკემპინგე და საპიკნიკე ადგილები, დოკუმენტაციასთან შესაბამისობა	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ტურისტული მიმზიდველობა და პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის ცნობადობა, გაზრდილია ვიზიტორების რაოდენობა, გაზრდილი რელიზაცია და ადგილობრივი მწარმოებლების შემოსავლები	
1.7.მუნიციპალიტეტის შემოსასვლელებში ტურისტული მანიშნებელი თანამედროვე სკულპტურული ნაგებობების მოწყობა	10/2021-12/2022	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო, გარე დაფინანსება	220 000 ლარი	მოწყობილია სკულპტურული ნაგებობები/პროექტთან შესაბამისობა	გაზრდილია მუნიციპალიტეტის შემოსასვლელების მიმზიდველობა,, გაუმჯობესებულია ტერიტორიის იერსახე, გაზრდილია ვიზიტორთა კმაყოფილება, გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა	

2. უნარები და ადმინისტრაციული, ჩართულობა 4. ფინანსური ხელში საწვდომობა 5. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	2. ადგილობრივი მეწარმეებისა და შესაძლებლობების განვითარება	2.1. სტარტაპერების, ახალგაზრდების, ქალების, შპს. პირების, სტარტაპერების, ახალგაზრდების, ქალების, შპს. პირების და ინკლუზიური ჯგუფებისთვის სამეწარმეო და სამუშაო უნარებისა გაუმჯობესება	11/2021-12/2022	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, სსიპ "ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო", LDA, World Vision საქართველო	7000 ლარი	ჩატარებულია სასწავლო შეხვედრები, გადამზადებულია სტარტაპერები, ახალგაზრდები, ქალები, შპს პირები, ბიზნეს საქმიანობისთვის მოწვევადი ჯგუფები/ ჩატარებულია სასწავლო შეხვედრების/ მონაწილე პირთა ოდენობა	ადამიანური რესურსების ზრდა, ახალგაზრდების, ქალების, შპს. პირებისა და მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების შესაძლებლობის ზრდა/ ცნობიერება ამაღლებულ პირთა ოდენობა, მათგან დასაქმებულ პირთა ოდენობა
		2.2. გიდების გადამზადების მიზნით ტრენინგების ჩატარება.	11/2021-12/2022	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა, აგრონომები და ვეტერინარები	10 000 ლარი	გადამზადებისთვის გაგზავნილია დარგის სპეციალისტები, ჩატარებულია ტრენინგები, გამართულია აგრო ტურები გროსექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით/ გადამზადებულ სპეციალისტთა ოდენობა ჩატარებული ტრენინგების, აგროტურების რაოდენობა	კვალიფიკაცია ამაღლებული აქვთ დარგის სპეციალისტებს, გაზრდილია მეფუტკრეებისათვის, მეცხოველეებისა და მევენახეებისათვის კვალიფიკაცია ამაღლებულ სპეციალისტთა მომსახურების ხელმისაწვდომობა, ამაღლებული აქვთ ცნობიერება აგროსექტორის წარმომადგენლებს, დაწერა ახალი ტექნოლოგიები და მიდგომები, გაზრდილია ფერმერთა შემოსავლები / სპეციალისტების მიერ გაწეული მომსახურების ოდენობა, ფერმერთა შემოსავლები დინამიკაში, ცნობიერება გაზრდილი პირთა რაოდენობა, ახალი ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენების ოდენობა, შემოსავლების ზრდა დინამიკაში
		2.3. ტურიზმის სექტორში მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების (მათ შორის ელექტრონული ბიზნესის მიმართულებით) ჩატარება მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა მენეჯერებისა და პერსონალისთვის.	10/2021-12/2022	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა	20 000 ლარი	ჩატარებულია ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები/ ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ოდენობა	ტურიზმის სექტორში მომუშავე კადრების სამეწარმეო უნარები ამაღლებულია, გაუმჯობესებულია მომსახურების ხარისხი, გაზრდილია ტურისტთა კმაყოფილების ხარისხი, გამარტივებული ტურისტების ტურისტების მოზიდვა. გაზრდილია ტურისტული ნაკადები ზრდა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეთა ოდენობა, ცნობიერება ამაღლებულ მონაწილეთა ოდენობა, ტურისტების კმაყოფილების ხარისხი, ტურისტული ნაკადების ოდენობა დინამიკაში
1. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო; 3. მიწა და ინფრა	3. სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება	3.1. სტარტაპერებისა და არსებული ბიზნესის ხელშეწყობა ახალი საწარმოო - საოფისე ფართების ხელმისაწვდომობით	11/2021-10/2020	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია	100 000 ლარი	შექმნილია ახალი საწარმო და საოფისე ფართები / ფართების ოდენობა, პროექტთან შესაბამისობა	გაზრდილია საწარმოო და საოფისე ფართებზე ხელმისაწვდომობა, გაზრდილია სტარტაპერებისა და არსებული ბიზნეს ობიექტების ოდენობა, გაზრდილია სამუშაო ადგილები და დასაქმება / ახალი და გაფართოებული საწარმოების ოდენობა, დასაქმებულების ოდენობა

სტრუქტურა; 4.ფინანსური ხელში საწვდომობა 5.გარე პოზიციონირება მარკეტინგი	3.2.საოჯახო ღვინის მარნებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	10,2021-9/2022	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია PIRDP	2 050 000 ლარი	რეაბილიტირებულია საოჯახო ღვინის მარნებთან მისასვლელი საუბნო გზები/პროექტთან შესაბამისობა	გაზრდილია საოჯახო მარნების ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობა, გაზრდილია ტურისტების დაინტერესება, ტურისტული სერვისების მიწოდების ხარისხი, ადგილობრივი წარმოების ღვინის ცნობადობა და რეალიზაცია/ გაზრდილი ტურისტების ოდენობა, გაზრდილი ტურისტული მარშრუტების ოდენობა, გაზრდილი შემოსავლების ოდენობა, გაზრდილი დასაქმების მაჩვენებლები
	3.3.მიგრანტებისთვის, სტარტაპერების და მოქმედი მეწარმეებისთვის დაფინანსების შესაძლებლობებზე დაფინანსების შესაძლებლობებზე რეფერალური სერვის მიწოდება	10/2021-12/2022	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საქართველოს მთავრობა	2500 ლარი	მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია სტრუქტურული ერთეული/სამტატონუსხით, რომელიც დაინტერესებულ პირებზე გასცემს ინფორმაციას მოქმედ პროგრამებზე და დაფინანსების შესაძლებლობებზე	გაზრდილია ფინანსური სახსრების მოძიებაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა მსურველისთვის, გაზრდილია მეწარმეთა /ფერმერთა დაფინანსება და შემოსავლები, გაზრდილია სამუშაო ადგილები და დასაქმება ზრდა/დაფინანსებულ მეწარმეთა ოდენობა, მეწარმეთა შემოსავლები დინამიკაში, სამუშაო ადგილების ოდენობა დინამიკაში
	3.4. მუნიციპალიტეტში 7 ლოკაციაზე მცირე ზომის ტურისტულ - რეკრეაციული სივრცეები მოწყობა ტურისტული სერვისების მიწოდების მიზნით	11/2021-12/2022	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო,	450 000 ლარი	მუნიციპალიტეტში ტურისტული სერვისების განვითარების მიზნით 7 ლოკაციაზე მოეწყო მცირე ზომის რეკრეაციულ მოსავენებელი სივრცეები, სადაც ტურისტებს ექნებათ მცირე დროით შესვენების შესაძლებლობა. სივრცეებს ექნებათ WI-FI მხარდაჭერა/პროექტის შესაბამისობა	გახსნილია ახალი სამუშაო სივრცეები, გაზრდილია ტურისტული სერვისების ოდენობა, გაზრდილია მუნიციპალიტეტის ტურისტული და საინვესტიციო მიზნით დასაქმება/ახალი ობიექტების ოდენობა, ახალი სერვისების ოდენობა,
	3.5. მუნიციპალიტეტში საინვესტიციო შესაძლებლობების გაუმჯობესება საინვესტიციო რესურსებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდით	10/2021-12/2022	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია,	10 000 ლარი	იდენტიფიცირებულია საინვესტიციო რესურსები, შემუშავებულია საინვესტიციო წინადადების ტიპური ფორმა/რესურსების რაოდენობა, მომზადებული ფორმა	მომზადებულია საინვესტიციო წინადადებები/საინვესტიციო წინადადებები მუნიციპალიტეტის ვებ გვერდებზე

ცხრილი 8. დაფინანსების სქემა

ლონისძიებები	საორიენტაციო ღირებულება	დაფინანსების წყარო				წვეტა დაფინანსებაში	შენიშვნები
		ადგილობრივი ბიუჯეტი	მაღალიდონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები		
1.1.ხანში ღვინის საწახელთან და ხანის ჩანჩქერთან ვიზიტორებისათვის მცირე ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	350 000 ლარი	45 000 ლარი		5 000 ლარი		300 000 ლარი	სრიგპ-ის ფარგლებში
1.2.ტურისტებისთვის მაკოვსკის სახლმუზეუმთან დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება	870 000 ლარი	60 000 ლარი		20 000 ლარი		790 000 ლარი	სრიგპ-ის ფარგლებში
1.3 როდოპოლისის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიზიტორებისთვის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	450 000 ლარი	50 000 ლარი		5000 ლარი		395 000 ლარი	სრიგპ-ის ფარგლებში
1.4.ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა ბაზრობებში და ფესტივალებში მონაწილეობა	50 000 ლარი	20 000 ლარი		30 000 ლარი			
1.5 ინფო ტურების მოწყობა ტურ ოპერატორებისთვის და საინფორმაციო სააგენტოებისათვის	20 000 ლარი	10 000 ლარი		10 000 ლარი			
1.6 ქვასყდარასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ვიზიტორებისათვის მცირე ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	400 000 ლარი	40 000 ლარი		5 000 ლარი		345 000 ლარი	სრიგპ-ის ფარგლებში
1.7.მუნიციპალიტეტის შემოსავლებში ტურისტული მანიშნებელი თანამედროვე სკულპტურული ნაგებობების მოწყობა	220 000 ლარი	20 000 ლარი				200 000 ლარი	სრიგპ-ის ფარგლებში
2.1.სტარტაპერების, ახალგაზრდების, ქალების, შშმ. პირები-სთვის და ინკლუზიური ჯგუფებისთვის სამეწარმეო და სამუ-შაო უნარების გაუმჯობესება	7000 ლარი	2000 ლარი			5 000 ლარი		
2.2 გიდების გადამზადების მიზნით ტრენინგების ჩატარება.	10 000 ლარი	2000 ლარი			8 0000 ლარი		
2.3.ტურიზმის სექტორში მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების (მათ შორის ელექტრონული ბიზნესის მიმართულებით) ჩატარება მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა მენეჯერებისა და პერსონალისთვის.	20 000 ლარი	5000 ლარი	15000 ლარი				
3.1 სტარტაპერებისა და არსე ზული ბიზნესის ხელშეწყობა ახალი საწარმოო - საოფისე ფართების ხელმისაწვდომობით	100 000 ლარი	80 000 ლარი		20 000 ლარი			
3.2.საოჯახო ღვინის მარნებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	2 050 000 ლარი	50 000 ლარი	2 000 000 ლარი				სრიგპ-ის ფარგლებში
3.3.მიგრანტებისთვის, სტარტაპერებისა და მოქმედი მეწარმეებისთვის დაფინანსების შესამდებლობებზე დაფინანსების შესამდებლობებზე რეფერალური სერვის მიწოდება	2500 ლარი	2 500 ლარი					
3.4. მუნიციპალიტეტში 7 ლოკაციაზე მცირე ზომის ტურისტულ - რეკრეაციული სივრცეები მოწყობა ტურისტული სერვისების მიწოდების მიზნით	450 000 ლარი	30 000		120 000		300 000 ლარი	სრიგპ-ის ფარგლებში

3.5 მუნიციპალიტეტში საინვესტიციო შესაძლებლობების გაუმჯობესება საინვესტიციო რესურსებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდით	10 000 ლარი	5 000 ლარი			5 000 ლარი		
ჯამი	5 009 500	421 500	2 015 000	215 000	90 000	2 330 000	

### ცხრილი 9. ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა

ქმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება)	მოსალოდნელი შედეგები თვე 1-5	მოსალოდნელი შედეგები თვე 6-10	მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12
1.1 ხანში ღვინის საწნახელთან და ხანის ჩანჩქერთან ვიზიტორებისათვის მცირე ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	11/2021-12-2022	გაწერილია კონცეფცია, მომზადებულია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, წარდგენილია განაცხადი დაფინანსების მოსაძიებლად	მიღებულია დაფინანსება, კონტრაქტორი კომპანიის მიერ დაწყებულია და მიმდინარეობს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები	მოწყობილია ხანში ღვინის საწნახელთან და ხანის ჩანჩქერთან მისასვლელი საფეხმავლო ბილიკები, გადახურულია საწნახელი, მოწყობილია და დაკიდებული ხიდები ვიზიტორებისათვის მოწყობილია მცირე ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურა
1.2. ტურისტებისთვის მაიკოვსკის სახლმუზეუმთან დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება	10/2021-8/2022	გაწერილია კონცეფცია, მომზადებულია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, წარდგენილია განაცხადი დაფინანსების მოსაძიებლად	მიღებულია დაფინანსება, კონტრაქტორი კომპანიის მიერ დაწყებულია და მიმდინარეობს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები	მოწყობილია ტურისტული ინფრასტრუქტურა-მოწყობილია საპარკინგე ადგილები, საპირფარეოები, საკემპინგე და საპიკნიკე ადგილები, ადგილობრივი პროდუქციისა და ხელნაკეთი ნივთების სარეალიზაციო ადგილები, რეკრეაციული სივრცეები და მოსასვენებელი ადგილები
1.3 როდოპოლისის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიზიტორებისთვის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	10/2021-6/2023	გაწერილია კონცეფცია, მომზადებულია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, წარდგენილია განაცხადი დაფინანსების მოსაძიებლად	მიღებულია დაფინანსება, კონტრაქტორი კომპანიის მიერ დაწყებულია და მიმდინარეობს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები	მოწყობილია ტურისტული ინფრასტრუქტურა-მოწყობილია საპარკინგე ადგილები, საპირფარეოები, საკემპინგე და საპიკნიკე ადგილები, ადგილობრივი პროდუქციისა და ხელნაკეთი ნივთების სარეალიზაციო ადგილები, /საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობა
1.4 ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა ბაზრობებში და ფესტივალებში მონაწილეობა	10/2021-6/2023	შერჩეულია ღონისძიებები მონაწილეობის მისაღებად	მიღებულია მონაწილეობა შერჩეულ ფესტივალებში, გამოფენა ბაზრობებში - 2 ღონისძიებაში	მიღებულია მონაწილეობა შერჩეულ ფესტივალებში, გამოფენა ბაზრობებში - 2 ღონისძიებაში

1.5 ინფო ტურების მოწყობა ტურ ოპერატორებისთვის და საინფორმაციო სააგენტოებისათვის	10/2021-12/2022	შედგენილია ინფო ტურის გეგმა და მარშუტი, მოწვეულია ტურ ოპერატორები	ჩატარებულია ინფო ტურები მუნიციპალიტეტის გაცნობის, ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით ჩატ- 1 ინფო ტური , საინფორმაციო გადაცემა 1	ჩატარებულია ინფო ტურები მუნიციპალიტეტის გაცნობის, ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით - 1 ინფო ტური 1 საინფორმაციო გადაცემა
3.5 ქვასაყდარასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ვიზიტორებისათვის მცირე ზომის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	11/2021-12-2022	გაწერილია კონცეფცია, მომზადებულია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, წარდგენილია განაცხადი დაფინანსების მოსაძიებლად	მიღებულია დაფინანსება, კონტრაქტორი კომპანიის მიერ დაწყებულია და მიმდინარეობს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები	ბუნებრივი ძეგლის მიმდებარეს მოწყობილია ტურისტული ინფრასტრუქტურა-მოწყობილია საპარკინგე ადგილები, საპირფარეოები, საკემპინგე და საპიკნიკე ადგილები, დოკუმენტაციასთან შესაბამისობა
1.6.მუნიციპალიტეტის შემოსასვლელებში ტურისტული მანიშნებელი თანამედროვე სკულპტურული ნაგებობების მოწყობა	10/2021-12/2022	გაწერილია კონცეფცია, მომზადებულია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, წარდგენილია განაცხადი დაფინანსების მოსაძიებლად	მიღებულია დაფინანსება, კონტრაქტორი კომპანიის მიერ დაწყებულია და მიმდინარეობს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	მოწყობილია 2 სკულპტურული ნაგებობა
2.1.სტარტაპერების, ახალგაზრდების, ქალების, შშმ. პირები-სთვის და ინკლუზიური ჯგუფებისთვის სამეწარმეო და სამუ-შაო უნარებისა გაუმჯობესება	11/2021-12/2022	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები , ცნობიერება ამაღლებულია 10 პირს	პარტიორებთან ერთად შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები , დატრენინგებულია 00 პირი	ჩატარებულია სასწავლო შეხვედრები, გადამზადებულია სტარტაპერები, ახალგაზრდები, ქალები, შშმ პირები, ბიზნეს საქმიანობისთვის მოწვევადი ჯგუფები/ ჩატარებული სასწავლო შეხ-ვედრების/ მონაწილე პირთა ოდენობა 00 პირი
2.2 გიდების გადამზადების მიზნით ტრენინგების ჩატარება.	11/2021-12/2022	შერჩეულია გიდები შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები , ცნობიერება ამაღლებულია 10 პირს	შერჩეულია გიდები შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები , ცნობიერება ამაღლებულია 10 პირს	შერჩეულია გიდები შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები , ცნობიერება ამაღლებულია 10 პირს
2.3.ტურიზმის სექტორში მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების (მათ შორის ელექტრონული ბიზნესის მიმართულებით) ჩატარება მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა მენეჯერებისა და პერსონალისთვის.	10/2021-12/2022	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები , ცნობიერება ამაღლებულია 10 პირს	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები , ცნობიერება ამაღლებულია 10 პირს	ჩატარებულია ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები/ ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ოდენობა 10 პირი
3.1 სტარტაპერებისა და არსე ბული ბიზნესის ხელშეწყობა ახალი საწარმო - საოფისე ფართების ხელმისაწვდომობით	11/2021-10/2020	შემუშავებულია პროგრამა, გამოცხადებულია კონკურსი, შერჩეულია მეწარმეები, გაფორმებულია საწარმო ფართით სარგებლობის ხელშეკრულება	საწარმო ფართებით სარგებლობს 15 ახალი და არსებული მეწარმე სუბიექტი, მიმდინარეობს მონიტორინგი ხელშეკრულების შესრულებაზე	საწარმო ფართებით სარგებლობს 15 ახალი და არსებული მეწარმე სუბიექტი, მიმდინარეობს მონიტორინგი ხელშეკრულების შესრულებაზე
3.2საოჯახო ღვინის მარნებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	10.2021-9/2022	წარდგენილია კონცეფცია დაფინანსების მოსაძიებლად, მიღებული დაფინანსება, კონტრაქტორი კომპანიის მიერ დაწყებულია სამუშაოების განხორციელება	კონტრაქტორი კომპანიის მიერ მიმდინარეობს სამუშაოების განხორციელება	კონტრაქტორი კომპანიის მიერ მიმდინარეობს სამუშაოების განხორციელება , დასრულებულია სამუშაოები
3.3.მიგრანტებისთვის, სტარტაპერებისა და მოქმედი მეწარმეებისთვის დაფინანსების შესაძლებლობებზე დაფინანსების შესაძლებლობებზე რეგერალური სერვის მიწოდება	10/2021-12/2022	მომიებულია ინფორმაცია და სერვისი გაეწია 50 პირს	მომიებულია ინფორმაცია და სერვისი გაეწია 50 პირს	მომიებულია ინფორმაცია და სერვისი გაეწია 50 პირს
3.4. მუნიციპალიტეტში 7 ლოკაციაზე მცირე ზომის ტურისტული - რეკრეაციული	11/2021-12/2022	გაწერილია კონცეფცია, მომზადებულია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო	მიღებულია დაფინანსება, კონტრაქტორი კომპანიის მიერ დაწყებულია და	მუნიციპალიტეტში ტურისტული სერვისების განვითარების მიზნით 7 ლოკაციაზე მოეწყობა მცირე ზომის რეკრეაციულ მოსავენებელი

სივრცეები მოწყობა ტურისტული სერვისების მიწოდების მიზნით		დოკუმენტაცია, წარდგენილია განაცხადი დაფინანსების მოსაძიებლად	მიმდინარეობს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები	სივრცეები, სადაც ტურისტებს ექნებათ მცირე დროით შესვენების შესაძლებლობა. სივრცეებს ექნებათ WI-FI მხარდაჭერა
3.5 მუნიციპალიტეტში საინვესტიციო შესაძლებლობების გაუმჯობესება საინვესტიციო რესურსებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდით	10/202112/2022	იდენტიფიცირებულია საინვესტიციო რესურსები, შემუშავებულია საინვესტიციო წინადადების ტიპური ფორმა, ინფორმაცია 3 ობიექტის შესახებ განთავსებულია ოფიციალურ ვებ გვერდზე	იდენტიფიცირებულია საინვესტიციო რესურსები, შემუშავებულია საინვესტიციო წინადადების ტიპური ფორმა, ინფორმაცია 3 ობიექტის შესახებ განთავსებულია ოფიციალურ ვებ გვერდზე	იდენტიფიცირებულია საინვესტიციო რესურსები, შემუშავებულია საინვესტიციო წინადადების ტიპური ფორმა, ინფორმაცია 3 ობიექტის შესახებ განთავსებულია ოფიციალურ ვებ გვერდზე